Funded by the European Union

გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის და სხვა შესაბამისი მავნე პრაქტიკის დაძლევა სამხრეთ კავკასიაში



განხორციელების ვადა: 10.09.2019 - 31.12.2022

EaP ქვეყნები:
აზერბაიჯანი, საქართველოს, სომხეთი

ევროკავშირის წვლილი: € 2 000 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
UNFPA

პროექტის აღწერა:

ვაჟიშვილისთვის უპირატესობის მინიჭების და გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის დაძლევის გლობალური პროგრამა წარმოადგენს უდიდეს საერთაშორისო პროგრამას, რომელსაც აფინანსებენ ევროკავშირი, ნორვეგიის თანამშრომლობის და განვითარების სააგენტო (NORAD) და გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA). ამ პროგრამის მიზანია ბოლო მოუღოს გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრაქტიკას.

სამხრეთ კავკასიის რეგიონში, კერძოდ, აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში პროგრამას ახორციელებენ გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) მთავრობებთან, აკადემიურ და კვლევით ორგანიზაციებთან, სერვისის მომწოდებლებთან, სამოქალაქო საზოგადოებასა და საზოგადოებრივ ჯგუფებთან ერთად. პროგრამის ღონისძიებები გულისხმობს ზოგადი ცოდნის გავრცელებას გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის მიზეზების და შედეგების შესახებ და იმ სოციალური ნორმების დაძლევას, რომლებიც დისკრიმინაციას უწევენ ქალებს და ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ ქალიშვილის შეძენას.

საზოგადოებაში ქალებისა და გოგონებისთვის სათანადო მნიშვნელობის მინიჭებით ისეთი ღონისძიებებით, რომლებსაც გენდერული ტრანსფორმაციის გამოწვევა შეულია, პროგრამა ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მიზანი 5-ის მიღწევას.

მოსალოდნელი შედეგები:

– კოორდინაციის და ზედამხედველობის მართვის გაუმჯობესება.
- იმ რეალური ფაქტორების გამოკვლევა, რომლებიც საფუძვლად უდევს სქესის შერჩევას და მის კავშირს სხვა მავნე პრაქტიკებთან.
– ცვლილებების და შემუშავებული და გამოყენებული ღონისძიებების გავლენის მონიტორინგის ინდიკატორები.
- ქცევის სოციალური და კულტურული მოდელების გაუმჯობესება, რის წინაპირობაც გოგონების მნიშვნელობის აღიარებაა.
- მრავალი მონაწილე მხარის და მრავალი სექტორის ეროვნული და რეგიონული პოტენციალის გაძლიერება იმ პოლიტიკის და პროგრამების ადვოკატირების, განვითარების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასებისთვის, რომლებიც სქესის შერჩევას ეწინააღმდეგებიან.